# საჯარო სამართლის იურიდიული პირი
# ეროვნული სატყეო სააგენტო

KA010125833408619

ქ. თბილისი, 0114, გ. გულუას ქ N6, ტელ: +995 (32) 2753959

**№ 06/16116** **04 / ნოემბერი / 2019 წ.**

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

ასლი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სსიპ-ეროვნულმა სატყეო სააგენტომ განიხილა თქვენი 26.08.2019წ. N5/50953 წერილი, სადაც დასმულია საკითხი "სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N240 დადგენილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის "ა.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ლენტეხისა და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის სამუშაოების განხორციელების მიზნით, ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტებში მდებარე მიწის ნაკვეთების (ჯამში 508246 კვ.მ.) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის კორექტირების (ამორიცხვის) შესახებ.

წარმოდგენილ საკადასტრო აზომვით ნახაზებზე მითითებული მიწის ნაკვეთებიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 04 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 274189 კვ.მ. ფართობი (სადაც მერქნული რესურსი აღრიცხულია 3067,94 კბმ-ის მოცულობით) მდებარეობს სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის ლენტეხის სატყეო უბნის ლენტეხის სატყეოში, ხოლო 234057 კვ.მ. ფართობი (სადაც მერქნული რესურსი აღრიცხულია 7659,44 კბმ-ის მოცულობით) მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მესტიის სატყეო უბნის ლატალის სატყეოში.
გაცნობებთ, რომ "სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N240 დადგენილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის "ა.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ-ეროვნულ სატყეო სააგენტოს, კომპეტენციის ფარგლებში, შესაძლებლად მიაჩნია კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის კორექტირება 508246 კვ.მ. ფართობით.
აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ ტყის ფონდიდან ფართობის ამორიცხვის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს "სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის $29^{1}$ მუხლის, "ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის და „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N240 დადგენილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის მოთხოვნები.
გთხოვთ, ტყის ფონდის საზღვრის კორექტირების განხორციელების შემთხვევაში მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.

დანართი: წარმოდგენილი მასალები.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

არჩილ ნიკოლეიშვილი